


# სასაღმისი ვაჭატი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 134. კვირა, 17 ოქტომბერი 1910 წ. დამატების № 23



დამაჯი ოზობა, — სურათი სპირიდონისა.

## ლ ა ნ დ ი ა

დრამატული თხზულება ოთხ ნაწილად.  
(შემდეგი \*)

ერთი ვიღაც ვაჭატიანი კარებს შემოადებს ნაღად.

### ვ ა შ ბ ა ტ ო ნ ი

შინ ბრძანდებით?

## ლ ა ნ დ ი ა

აქ გახლავართი გთხოვთ მობრძანდეთ გამბედავად!

### ვ ა შ ბ ა ტ ო ნ ი

ვფიქრობ, აღარ გვინახია კარგახანი ერთმანეთი. ეხლა საქმემ მოითხოვა და იმწამსვე მოვაგონდით.

\* ი. სურათებიანი დამატება № 22.

## ლ ა ნ დ ი ა

საქმეს ჰე არ დაგზარდებით, თუ კი რამე შემოძლია, ჩემი ძალა, ჩემი ღონე თქვენთვის მინაცვალდება.

### ვ ა შ ბ ა ტ ო ნ ი

იქნებ იცით, ჩვენი ქვეყნის მიყრუებულ ერთ კუთხეში გვინდა სკოლა ავაშენოთ, განათლება შევქმნათ ერში; მაგრამ იცით, რომ საკმაო თანხა არ მოგვეპოვება, მიტომ შეველა უნდა ვსთხოვოთ, ვისაც სხვისთვის გული სტკივა.

ვკონებ უარს არც თქვენ გვეტყვიოთ, შეველა მისცეთ ღიად საქმეს. თქვენ მარადის თანაგრძნობით ეკიდებით სულ ყველაფერს.

## ლ ა ნ დ ი ა

ერთ თუმანას ამოიღებს და გულ-უხვათ დაწოდებს. ჯერ ეს მცირე შეიწირეთ, შემდეგ მგონი მერსაც შევესძლებ.



**ვ ა შ ბ ა ტ რ ე ი**

გმადლობთ! ყველა რომ თქვენსავით გულ უზვობდეს კარგ საქმეზე, საქმე გაიჩარებოდა უეჭველად ორ-სამ თვეზე!

**მ ე გ ო ბ ა რ ი**

წუმათ სითხითებს.

ვაი ოცნებავე, ვაი, იმედო! თქვენ ცხოვრებაში არა გაქვთ მდელი.

დღისით შობილი ნათლად იქცევით და იღუბებით მზისა სხივებში. ღამით შობილიც არსადა სჩანხართ პირქუშ წყველიაღში უკვალოდ ჰქრებით.

როგორც იშობვით, ისევე ჰქვევებით? მხოლოდ ზოგ-ჯერ კი მოგონებაში ტკბილ სიზმარით ხსოვნათა რჩებით!..

ერთი თუმნით გსურს სამშობლო ააყვავო, დადფურჩ-ქნო? ხალხს გონება გაუნათო, ტანჯულს გული გაუხარო? გაიცინე შენც ჩემსავით! რას მიყურებ გაოცებით! ვაი-ხარე, რომ ოცნება ვერც განხორციელდება.

ხა-ხა-ხა, ლანდიავ!

ხა-ხა-ხა, ლანდიავ!

**ლ ა ნ დ ი ა**

ღანღანც თათქას მოიწამლება თავის შეგობრის სიცილ ხარხარით.

ხა-ხა-ხა! ხა-ხა-ხა! ხა-ხა-ხა!

მაგრამ ნეტავ მე რაღა მაძინებს! ტურფამ რომ მნახოს, როგორ დამცნებს, როგორ დამცინებს, გაღიხარ-



ქართველი ახალგაზრდა მხანოზი ი. ჯარღალიშვილი.



მხანოზი ი. ჯარღალიშვილი საბა-მანინჯის როლში.

(მესამე მოქმედების ბოლოს. დრამა ნ. შიუკაშვილისა „სიმახინჯე“.



მხანოზი ი. ჯარღალიშვილი საბა-მანინჯის როლში.

მეოთხე მოქმედების ბოლოს. (დრამა ნ. შიუკაშვილისა) „სიმახინჯე“.

**ვ ა შ ბ ა ტ რ ე ი**

თუმნის ბართს დაუწყრავს და აწოდებს ღანღანს.

სხვათა შორის! გამგეობის წევრობაზე კანდიდატათ აგირჩიეთ; ვგონებთ, თქვენი ერთგული შრომით რამეს შესძენთ ხალხის საქმეს.

**ლ ა ნ დ ი ა**

საკმაო დრო თუმც არა მაქვს, არც შეძლება ძნელი საქმის, მაგრამ რადგან გულით მინდა ვემსახურო ქვეყნის საქმეს, უარს როგორ შემოგკადრებთ, მე კადევაც მიხარაან.

**ვ ა შ ბ ა ტ რ ე ი**

კარგი! გმადლობთ ვერც ვეჩყვი! გავახარებ თქვენ თანხმობით.

ვგონებ თავი შეგაწყინეთ! დროა გამოგემშვიდობოთ. ხელს ათმევეს და გადის.

**მ ე გ ო ბ ა რ ი**

მითხარ, როგორ შევიმავრო გული სიცილ-ხარხარისაგან ჰა-ჰა-ჰა-ჰა!

ხარებს, შემდეგ კი დაპღვრის ცრემლებს მღუღარეს.

შენ მეგობარო, ამ ბოლო დროში მხოლოდ დამცინი, ჩემ ბედს დასჩხავი.

შენ მე არწივად მიმაჩნდი მარად, თურმე ვსცდებოდი ყოფილხარ ყვავე, ყვავე მხხავანა, ხორცის მწიწკნავი, გულითაც, ფერთაც შავი და ავი!

**მ ე გ ო ბ ა რ ი**

თუ სიმართლე ყვავედ მაქცევს, არწივის ფრთებს მაკეცინებს, მანდ რას ჰხეთავ სათაკილოს. მიჯობს ვიყვე მართალ ყვავედ, ვიდრე ტყუილ მძღავრ არწივად.

**ლ ა ნ დ ი ა**

თუ სიმართლე შავი არის, ყვავის სახით მოვლენილი, ისევ ტყუილ არწივს ვარჩევ, ცას რომ არის აფრენილი.

**მ ე გ ო ბ ა რ ი**

იმედი ოცნება! თავმოტყუება!—აი, ეს არის შენი ცხოვრება!





მზრინავი უბოჩინი.  
რომელიც დღეს უნდა აფრინდეს).

ლ ა ნ დ ი ა

მეც კარგად ვიცი, რომ ცხოვრება სიფუტე არის და უაზრობა, მიტომ არა სჯობს, რომ ეს სიფუტე ჩემმა ოცნებამ რომ ამოავლოს, ოცნებამ ტკილმა, ოცნებამ ტრფობის, ოცნებამ შვების და ნეტარების?

როცა გონების თვალი ღიაა, ვერაფერს ვხედავ მე ცხოვრებაში; როცა დავხუჭავ. მაშინ გრძობანი აღელდებიან, აიშლებიან, ხან თვით ცხოვრების გულში სწვდებიან, ხან კი სიამით გარს ევლებიან.

როდესაც ჩემი მთელი გონება სიჩუმით არის გარემოცული, მაშინ არ ვიცი გულში თუ სულში შემომეჭრება იდუმლათ რაღაც შემოქავს რაღაც იდუმალ გრძობით, შემიყვარდება მიწაცა და ცა და ჩემი გული ბავშვივით ნატრობს სიცილსა, ხარხაჩს და ნეტარებას.

შენ თითქოს ეჭვი გეპარება ჩემს ოცნებაში! აღარა ვჯერა, რომ იმედი გაგვიმართლდება, მაგრამ გეტყობა სულ მოკლე ხარ, მოუთმენარი. მე ისევ მჯერა, მტკიცედ მჯერა ჩემი მყობადი! მჯერა სამშობლოს აყვავება, ბედნიერება მწამს რომ ფრთებს გაშლის ჩქარა ჩემი შემოქმედება!

მ ე ზ ო ბ ა რ ი

მეტი რაღა დაგრჩენია, იპოვე ნუგეში იქ, სადაც არ სწვდება ჩემი ეჭვი! იპოვე სინათლე იქ, სადაც არ ჰხედავს ჩემი თვალი. სანუგეშებლად მხოლოდ ეგ ერთი ბნელი კუთხელია დაგრჩენია შენს არსებაში.

ლ ა ნ დ ი ა

ნუ დაჰგლოვ, ნუ დასჩხავი ჩემი ბედის ვარსკვლავს, ის ხომ ჯერ კიდევ არ ამოსულა ჩემ ცის კალღზე.

გთხოვ ნუ მიმწარებ, ნუ მიმოკლებ სიცოცხლის დღეებს, თორემ იცოდე შენს წინაშე დავხუჭავ თვალებს; შენ ხმის წინაშე დავიყრუებ ამ ჩემსა ყურებს, რომელნიც ჰგრძობენ თვით ბუნების საიდუმლო ხმებს.

და თუ არ გიხილვენ ჩემი თვალები, შენც დაჰკარგავ ხორციელობას! თუ არ გისმენენ ჩემი ყურები, მთლად ჩაგიწყდება ეგ ძლიერი ხმა.

მ ე ზ ო ბ ა რ ი

ერთხელვე ჩილულს, უხილავად ველარ გარდამქცევ! ერთხელვე ნასმენს მე სიჩუმით ველარ შემოქავს!

ლ ა ნ დ ი ა

ო! რა სიბნელე იქნებოდა ამ ქვეყანაზე რომ, იმედო, შენი სხივი არ მინათებდეს!

ოჰ! რა სიცივე იქნებოდა ამ ცხოვრებაში, რომ სატრფოს გრძობა მე სიამით გკელს არ მითბობდეს.

მ ე ზ ო ბ ა რ ი

მაშ მითხარ ლანდიაე! ვისი თვალები უფრო ხედავენ ქეშმარიტებას, ჩემნი თუ—შენნი?

ვისი ყურები უფრო ისმენენ სიმართლის მძლავრ ხმას, ჩემნი თუ—შენნი?

ვისი გული უფრო გრძობს სინამდვილეს, ჩემი თუ შენი? მოუწოდე ყველაზე მიუდგომელ მსაჯულთ, დაე, გაგვსაჯონ!

ლ ა ნ დ ი ა


შორს, ღრუბელნო, მზის სინათლის დაბრკოლებელნო! მზეო სხივმფენო გამოანათე და სიმართლისა მიჩვენე სახე!

ო, ყოვლის შემძლევე, ქვეყნის მპყრობელო, გთხოვ სიმართლის ხმა იქნებ მასმინო.

ოჰ, ყველა ხმანო, რაც კი მესმით გულის სიღრმიდან, ჩაჩუმდით, ჩასწყდით! დაე, ისმოდეს მხოლოდ ერთი ხმა, ქეშმარიტების!

იღუშალი ხეობი

- მართალი არის მეგობარი!
- მეგობარი უკეთესად ჰხედავს სიმართლეს!



კუხეთის სახალხო განათლების ახალი მინისტრი კახსო.

მეორე ხმანი

- არა შენა ხარ მხოლოდ მართალი!
- შენი გული უკეთა გრძობს ქეშმარიტებას.
- თქვენ ვერც ერთი ვერა ჰხედავთ ქეშმარიტებას! ორთავე ბრმა ხართ და უგრძობი სიმართლის მიმართ.
- მეგობარი მართალი!
- შენ ხარ მართალი!

ლ ა ნ დ ი ა

ხომ ხედავ ყველა შენ გამტყუნებს?

მ ე ზ ო ბ ა რ ი

სცდები ლანდიაე, შენ გამტყუნებენ!

სხვა და სხვა ხეობი

- მეგობარია მართალი!
- ლანდია მართალი!
- ორთავე ხართ მართალი!
- ორთავე ხართ მტყუანი!
- ორთავე ხედავთ!
- ორთავე ბრმა ხართ



საქართველო  
საბჭოთაო

ლ ა ნ დ ი ა

ვინ ლაპარაკობთ ამდენი, სულ ამირიეთ გონება!  
ო, სიმართლის ხმავე! ყველაზე მძლავრად დასკექე, რომ  
ჩააქრო სხვა ხმანი!

ნუ თუ შენი ხმა ისე სუსტია, რომ სიყალბის ხმათ ის  
ვერ ერჩევა!

რომელი ხმაა, რომ მაწვეთებს გულში სიმართლეს!  
და იმის სიღრმის სიბნელეში ლაპარაკს აღმინებებს?

შე ვერ ვარჩევ! შე ვერ ვისმენ! შე ვერა ვხედავ!  
ისევე ისმინა იგივე ხმები აწვე-დაწვევით და თანას-  
წორად.

ლ ა ნ დ ი ა

ვერ ვხედავ, არ მესმის მე სიმართლის ხმა! ვერ ვხე-  
დავ, ვერა ვგრძნობ ქვეშარიტებას!

ვინ უწყის, რა მეფობს ამ ქვეყანაზე!

ვინ უწყის, რა არის ამ ქვეყნათ ძლიერი!

საკვდილი არის თუ სიციცხლე ამ ქვეყნის გამგე!

სინათლე უფრო ძლიერია, თუ ბრმა სიბნელე!

ნეტავ რა მეტობს, სიხარული თუ მწუხარება!

რა ძლიერია, სიყალბე თუ-ქვეშარიტება!

ცრემლთა ნაკადი ძლიერად სჩქეფს, თუ სიხარული!

უფრო ძლიერათ გულში ჰყვავის გრძნობა რამ მტრული,

თუ ყველა: გულში ვით ნაკადი სჩქეფს სიყვარული,

მით აღიგვება ყველა: გულში მტრობა და შური!

მ მ გ ო ბ ა რ ი

სიბნელით, სინათლით შობილა სამყარო, ორთავე გამ-  
ხდარან მის თანამგზავრნი.

ღამე და ღლები უკლიან ქვეყანას, მასთან დაშორენენ  
ვით გენდი, ყვავნი!

ტანჯვით და სიამით არის ნაქსოვი ადამიანის ყველა  
გრძნობები!

კენესა და სიცილი არის ქვეყნისთვის მისი სიმღერა და  
ტკბილი ხმები.

სიმართლე, სიყალბე გამხდარა მარადის ადამიანის გუ-  
ლისა ცემად.

მისი სიციცხლე გადაქცეულა სამარმდისინ ტანჯვად  
და შვებად.

ლ ა ნ დ ი ა

შე რაც უფრო ბევრს გებასები, მით უფრო მეტად  
მერევა თავგზა. ვერ თუ სინათლეს მიჩვენებ საღმე, და ვერც  
თუ მასმენ ქვეშარიტებას.

ისევე ყურს ვუგდებ ჩემ გულის პასუხს, მასში ჩაქსო-  
ვილ იღუმალელებს, ის შენზე კარგად მამაცნებს ყოველთვის,  
თუ საღმე არის ქვეშარიტება.

მ მ გ ო ბ ა რ ი

რასაც გინდოდეს, მას უსმინე, მას გაუგონე; მხოლოდ  
ვიდრემდის ვიწოდები მე შენს მეგობრად, თავს მოვალედ  
ვსთელი, რომ ყოველთვის გაძლევდე რჩევას.

ეს შე არ ვიცი, თუ ჩემი რჩევა მარად სწორია და  
უებარი! ეს არც მან იცის, ვის ხელშიც არის იქ—მალლა  
ცა და ძირს—მთა და ბარი.

ლ ა ნ დ ი ა

სად სინათლეა და სად სიბნელე! სად არის გზა და  
სად კი—უდაბნო ამ ქვეყანაზე, ვერას გაიგები ლამის ჩემ  
ტანჯვით გონებაც დაგვმო.

ისევე სჯობია შრომით ჩავაქრო სიციცხლის მღრღნე-  
ლი შავი ექვები. შემოქმედებით მე ძალმიძს ბრძოლა, გინდ  
გამიხასდენ ყველა ღმერთები!

მიდის ქანდაკებისაკე, უცებ ტურფა შემოარბუნს  
მხიარულად მოდიმარა. ტრფობით უკლებედ მოქსევეა  
დაუკონის ორთავ თვალებს.

ტ უ რ ფ ა

ვერ გავძელი უშენობით, მომენტარა ხვევნა, კოცნა;  
ჩემ თავს აღარ დავეკითხე, გაქვს თუ არა ჩემთვის მოცლა.

ლ ა ნ დ ი ა

სიყვარულისთვის როგორ დავზოგავ, თუ გამაჩნია რამე  
ძვირფასი. სულ ყველა მისთვის შემიწირია, ჩემი ქონე-  
ბა და ჩემი მწამსი.

მ მ გ ო ბ ა რ ი

მაგას რას ამბობ?

ლ ა ნ დ ი ა

სატრფოს ხვევნაში მწამს არ ჩაქრება სამშობლოს ვა-  
ლი და სიყვარული. იმის ქებაში, თაყვანებაში მრავალნი  
აზრნი განათლებიან და მთლად მიმქრალი, ნელი გრძნობანი  
მუხათ ფრენამდის ამილდებიან.

განა თუ კაცნი, თვით ანგელოზნიც უნდა აქებდენ ამ  
ჩვენ სიყვარულს.

ტ უ რ ფ ა

სულით თაყვანს ვსცემ გულით მიყვარს ეს ჩვენი  
ტრფობა. მიყვარს მის ღლები თუნდ მზიანნი, თუნდ ღრუბ-  
ლიანნი! მიყვარს ღამენი, იყვენ ბნელნი, თუნდ მთვარიანნი;  
მის სიხარულიც, მისი ტახჯვაც ჩემთვის ძვირია! რალა ფასი  
აქვს გულს, თუ მათგან განაწირია!

ჩვენ სიყვარულის მაღალ სიხარულს ვით ნაზ სიამით  
ელერას ჩავურთობ სიცილს და იმის ტანჯვას, იმის კვენესაც  
კი მარგალიტებად ჩავაქსოვ ცრემლებს.

ლ ა ნ დ ი ა

არცა ტანჯვაში, არც სიხარულში არ მოგვებზრდება  
ეს სიყვარული! ერთის წყურვილით და ერთის გრძნო-  
ბით იფეთქებს მარად ორთავეს გული.

მოუჯდება ქანდაკებას.

შე ვიმუშავებ, შენ მიმღერე, როგორც ბუღბული!  
ტკბილ ხმათ მასმინე შენი ფიქრი, შენი გრძნობანი! დაე  
შეშურდეს ფრთოსან მგოსანს შენი ტკბილი ხმა და მის სი-  
ნაზით დასქენეს ვარდი, გახმეს შროშანი.

მ მ გ ო ბ ა რ ი

ნუ გგონია, რომ ატრფოს ხმამ დააბნელოს ჩემი სახე,  
შე შენთან ვარ განუყრელათ, როცა გსურდეს დამინახე, მე  
არც გიმღერ, არც დაგტირებ, არც გაგწირავ განზე დგომით,  
სულ გიჩვენებ, ყველას გასმენ, რასაც ნახავ ამ ცხოვრებით.

ღანღია მუშაობს, ტურფა დამღერის. სიამეს ჭკვი-  
ან მისი ჭანგებოვით ხეჯგოზის იქ ცაში მფრენის.

ტ უ რ ფ ა

შენთვის ძვერს გული,  
შენთვის მღერს გრძნობა,  
შენ შემოგხარის

ჩემ გულის ტრფობა!

მსურს ვიქცე ვარდად,

რომ ჰყვავის ნაზად;

შენ გულს ვეშალო

შე ფიანდაზად.

მსურს წყვე მთვარე,

მზე მოელვარე,

თავს გველგბოდე

შე დღე და ღამე!

ნეტავ შენა სუნად

ვარდს ჩანერგულად,

შენ გულს ვეცნოსო

შე საამურად!

ჩვენ შორის ტრფობის გაბმულან სიშნი

იმათზე დაქლერს ორთავეს გრძნობა!

ამ ქვეყნიური ნეტარებისთვის

ღმერთო მიიძღვენ გულით მადლობა!

ბოლო მეორე ნაწილისა.

ლევ. შეტრეველი.

შემდეგი იქნება

